ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№5, 29 მაისი, ორშაბათი, 2023 წელი

ქეთი ლექსი

* * *

შენ, სისხლო ჩემო,
სად არ დაღვრილო...
შენ, სად არ გხვრეპდა
შავი ყორანი!
ვინ გაგაკვირვოს,
რამ გაგაკვირვოს? –
ნადიდგორალი,
ნაშამქორალი.
შენ, სისხლო ჩემო,
შენი ღვაწლია,
რამაც აქამდეც კი მოაღწია:
სვეტიცხოველი...
ხანძთა... ვარძია და ისიც,
რაც მტერს წარუტაცნია...
შენ, სისხლო ჩემო,
შენი დინება
ვეფხისტყაოსნით
ხშირად მიგრძვნია...
სიტყვა, რომელიც
გეჩოთირება,
ცდილობ, გაშორო,
რაც შემიძლია...
შენ, სისხლო ჩემო,
სისხლო ხნიერო,
დაუცხრომელო
და უცნაურო...
საბედნიეროდ,
საბედნიეროდ,
ჰაი, ჰაი, რომ
კიდევ ხმაურობ!

ეკატერინე მაჭავარიანი

პოეზია



შოთა დარბაიშვილი

* * *

მეც ჩამიქროლეს
ცხოვრების წლებმა,
ეცხო მიდამოს
უცხო სურნელი,
მაისის თბილი
ვიყავი წვიმა,
ცოტათი ურჩი,
ცოტაც სულელი...
საღამოს სოფელს
შეაშრა ოფლი,
მზე გადაღლილი
ბავშვივით მიწვა,
ამოდის მთვარე
და ღამე მშვიდად
ეჩურჩულება
მშობლიურ მიწას.

აღემართენით!

ისევ ისეთი ცბიერი –
ჩვენი ცხოვრების იერი,
ისევ იმ წრეზე ტრიალი,
ის მტერი – ოხერტიალი...
რა ხდება?!სიდან უბერავს,
საით მივყავართ ბედსაო!
კისერს წავიტეხთ, ქართველნო,
დროზე მოვეგოთ გონსაო.
ერთნიც და მეორენიცა,
ნუთუ ვერ ვხვდებით, გონითა,
ვერც რუსს და ვერც ამერიკელს
ვერ მოვერევით ღონითა...
მარტო ეგენი კი არა,
ოთხივ მხრიდან ვართ ალყაში,
ჩვენზე ცბიერნი არიან,
ჩვენ ვერ ვაჯობებთ ყაყანში...
ჭკუას მოვუხმოთ, ქართველნო,
რომ სუნთქვა ვიგრძნოთ ძლიერი,
ერთნიც და მეორენიცა
ძმები ვართ, ერთი იერის,
ჩვენი ხსნა ერთობაშია, –
ამიერ და იმიერიც!

* * *

განერიდება
მიწიერ ნისლებს...
და შემოდგომის
ყვითელ ბურუსში
თხზავს ფიქრებს
შენთვის, –
სევდითნათელ
ციცინათელებს...

ქალბატონო...

კარზე შენი შემოდგომა ჩამომდგარა,
ქალბატონო, მგონი ხანში შედიხარ,
გაზაფხული გადაფარა ზამთრის დარდმა,
მაგრამ ახლა უფრო მეტად ჩემი ხარ.
ვერაფერი ვერ გაჩუქე, ლექსის გარდა,
გავბედე და შეგიხსენი საკინძე
და ლექსებში, იმ ქალს, ვინაც მე მიყვარდა,
ვნებიანად ჩაგეკონე, აგკინძე.
სექტემბერი გაიტაცა ზამთრის ქარმა,
დამათოვა თოვლის თეთრი ფანტელი,
ქალბატონო, ახლა უკვე გვიანია,
ვნებას მიკლავს ზამთრის კორიანტელი...

* * *

დაუბერა მარტის ქარმა,
გააშიშვლა ხეები,
ღმერთო, როგორ მოწყენილი
ჩამომსხდარან დღეები...
უკარფანჯრო სახლებიდან
უსახურთა თვალთვალი,
რაც არ არის, არ იქნება
არასოდეს მართალი.
საწვიმარი ღრუბლის იქით
ალისფერი ციაგი,
ოკეანის ფსკერს ირჩევს და
მზეს გადაჰყვა დიადი.
გარს მარტყია მარტოობის
მთების წყება, ზვიადი,
დამთავრდება ყველა ომი,
განათდება წყვდიადი...

ღია ბარათი

მზია ხეთაგურს

შენ ცხინვალური გაქვს ანდამატი,
ხარ უნაპირო სევდა ცდუნების,
მე მიყვარს შენი უცნაურობა,
გამორჩეული ქალის ბუნებით...
გაზაფხულდება, მარტი ღრუბლებში
გამოანათებს ოქროს სხივებად
და პოეზიის ამორძალები
ცით მოჭიქავენ ლექსებს მძივებად.
თეთრი მთებიდან მოდენილ ლიახვს
კავკასიონი ატანს ბარათებს,
მათში ჩაღვრილი წმინდა ცრემლებით –
კითხვით: საიდან? ანდა, სადამდე?!
მესმის ლექსები, როგორც ვედრება
და კოსმიური დგება კავშირი,
შენა ხარ სიტყვა, შენა ხარ ძალა –
თეთრ ბაირაღად ცამდე აჭრილი!..
დამისხით ღვინო, უნდა დავლოცო
სული, ვით კვნესა ხმატკბილ სიმების,
ქარაფზე დგახარ, როგორც ქორბუდა, –
სამყაროს უმღერ წრფელი სიმღერით...

* * *

მე ვინ მომცა ბედი და,
მითუმეტეს, იღბალი...
ვარ ცხოვრებით დაღლილი,
სიბერის კარს მიმდგარი.
უკან დამრჩა ქალაქი –
მოგონებად ქცეული,
დავრჩი აქეთ სოფელში,
კერას გამოქცეული...
ერთხანს ცოტა ვიომე,
ვწერე, ვჯღაბნე ლექსები,
ახლა ამათ ვკითხულობ,
წარსულს ვეალერსები.
ერთი გოგო მიყვარდა,
დამავიწყდა სახელი,
ისე გადავიყვარე,
ვერ ვუთხარი სათქმელი ...
არეულ-დარეული
დამრჩა შვიდი რვეული,
ძველი დროის გრძნობების
სიყმაწვილე, ეული...
რას ვაპირებ? – არაფერს,
თქვენი იყოს ყოველი,
ოქრო, ვერცხლი, დიდება, –
არ ვარ მათი მდომელი...
ვიღაც იტყვის: ,,კარგია,
მაგრამ სევდიანია.”
მხიარული პოეტი
ვინმეს, სადმე, გსმენიათ?!
არეული დროა და,
რა მოგველის, ვინ იცის?!
მე, ის ვიცი, მხოლოდ, რომ
არაფერი არ ვიცი!..
აღარა ვარ პოეტი,
არც არასდროს ვყოფილვარ,
ერთი ვინმე უიღბლო,
მე ფხიზელი ლოთი ვარ.
მე ვინ მომცა ბედი და...
დამდევს რუხი ფიქრები,
შენ გახდები ევროპა,
მე რომ აღარ ვიქნები...

ისტორიის ფურცლებიდან

კოტე მარჯანიშვილის ,,ხაშურული არდადეგები"

გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ხაშურში აღინიშნა ღირსშესანიშნავი მოვლენა – აშენდა რკინიგზელთა კულტურის სასახლე. 1932 წლის 24 ივლისს სასახლე გაიხსნა კოტე მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლით. არსებული თეატრის გასტროლები დაიწყო კ. კალაძის პიესით ,,როგორი".

მაყურებელთა დარბაზი ყოველთვის სავსე იყო ხალხით. კოტე მარჯანიშვილი იმ ხანებში ცუდად გრძნობდა თავს და გასტროლების გახსნას არ დასწრებია. მოგვიანებით ჩამოვიდა და კულტურის სასახლის გვერდით მდებარე სახლში დასახლდა.

ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ, გიორგი კალმახელიძის სახით, იმთავითვე მხარი დაუჭირა ამ მნიშვნელოვან ფაქტს და გასტროლების გახსნის დღეს, წარმოდგენა ,,როგორის" დასასრულს მოაწყვეს ბანკეტი. გათენებისას ვასო გოძიაშვილი ავიდა კალანიკებზე (სცენის თავზე) მეზურნეთა დასით და წვეულების მონაწილეებს სიმღერით აუწყა აისის დადგომა.

ამ დროს, სცენის მემანქანემ – ბაგრატ მჭედლიშვილმა მბრუნავი წრის ჩამრაზი ჩართო და მბრუნავი წრე ტრიალებდა უხვად გაწყობილ მაგიდასთან მსხდომ ბანკეტის მონაწილეებთან ერთად. მეზურნეებმა, ქვიშხეთელი გიორგი კიკნაძის ხელმძღვანელობით, დაუკრეს ,,დილის საარი", რაც მაუწყებელი იყო წვეულების დასასრულის.

მას შემდეგ რკინიგზის კულტურის სასახლეს ვისთვის არ უმასპინძლია, ერის რომელი რჩეული არ მდგარა ამ სცენაზე. აი, თუნდაც:

1948 წელს საქართველოში აღინიშნა ნატო ვაჩნაძის მოღვაწეობის 25 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით ლეგენდარული მსახიობი ხაშურში მიიწვიეს და რკინიგზის კულტურის სასახლეში დიდი საღამო გაუმართეს. ნატო მსახიობთა ამალით ჩამოვიდა. ეცვა თავისი ცნობილი იასამნისფერი კაბა. იყო მილოცვები, მისალმებები, ნატო სიყვარულს და სიკეთეს აფრქვევდა. და აი, სცენაზე ავარდა, მაშინ V კლასის მოსწავლე, მზია ნადირაძე და საოცრად შთამბეჭდავად მიესალმა დიდ მსახიობს, ხოლო ნონიკო ჩიჩუამ იცეკვა ,,ლეკური". საღამო დამთავრდა, მაგრამ ხალხი მაინც არ იშლებოდა.

კიდევ ერთი საინტერესო ცნობა:

,,1944 წელს რესპუბლიკის ხელოვნების სამმართველომ პეტრე გრუზინსკი ხაშურის ახლადჩამოყალიბებულ ახალგაზრდა თეატრში მოავლინა მხატვრულ ხელმძღვანელად და მთავარ რეჟისორად, რასაც მან ბრწყინვალედ გაართვა თავი და სულ მოკლე ხანში თეატრი ფეხზე დააყენა (,,წიგნის სამყარო", 1986 წ.).

თემურ ჩხეიძე იხსენებს: ,,ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი თეატრის ისტორია თქვენს ქალაქთან. თუნდაც, 30-ანი წლები გავიხსენოთ, როდესაც ორი წელი თეატრს (იგულისხმება კ. მარჯანიშვილის თეატრი) ხაშურში ჰქონდა ბინა დადებული.

თამაზ ლაცაბიძე: ,,ხაშურის თეატრალურ ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1932 წელს თბილისის მე-2 სახელმწიფო თეატრის გასტროლები კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. მათი უშუალო მონაწილეობით გაიხსნა ახლადაგებული რკინიგზის კულტურის სასახლე, რომელშიც თეატრის მიერ ნაჩვენები იქნა ისეთი საეტაპო სპექტაკლები, როგორებიც თავის დროზე იყო ,,ურიელ აკოსტა", ,,ყვარყვარე თუთაბერი", ,,შიში", ,,როგორ" და სხვა. სცენაზე გამოდიოდნენ უშანგი ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი და სხვები. კ. მარჯანიშვილმა გასტროლების პერიოდში ხაშურელებს ორი ახალი სპექტაკლის პრემიერაც უჩვენა."

ამჟამად რკინიგზელთა სასახლე რეაბილიტაციის პროცესშია. მალე ხაშურს კვლავ დაუბრუნდება თავისი უპირველესი კულტურის კერა და ალბათ, იმის დროც დადგება, რომ ოდესმე კულტურის სახლის სკვერში დაიდგმება სპეციალური დაფა, სადაც ოქროს ასოებით ამოკვეთენ ყველა იმ დიდი არტისტის გვარს, ვინც ხაშურის სცენიდან მაყურებელს დიდ ხელოვნებას აზიარებდა.

მურად მთვარელიძე –
მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

ახალი წიგნი

მურად მთვარელიძის წინამდებარე წიგნი ,,ამბები მათზე და ჩემზე" წარმოადგენს ერთგვარი მოგონებების კრებულს და უახლოვდება ბიოგრაფიული რომანის ჟანრს.

ავტორი შთამბეჭდავად ხატავს როგორც საკუთარ, ისე ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, გასული საუკუნის 60-ანი წლებიდან დღემდე.

წიგნში გაიელვებენ მკითხველისათვის კარგად ნაცნობი სახეები, მოვლენები, ეპიზოდები.

გამომცემლობა ,,უნივერსალმა" მურად მთვარელიძის კიდევ ერთი, ამჯერად პოეტური კრებული შესთავაზა მკითხველს.

პოეტის ,,სამი დრო" მის რჩეულ კრებულადაც შეიძლება ჩაითვალოს.

აი, რას წერს ავტორი წიგნის წინასიტყვაობაში:

,,ვფიქრობ, ჩემი სულის მოძრაობას, სიხარულსა თუ სევდას, აღმაფრენასა თუ დაცემას ამ წიგნში მკითხველი ისევე შეიცნობს, როგორც ამას ლექსების წერისას განვიცდიდი.

მინდა, ამ წიგნმა თქვენ გულამდე სიყვარულით გაიკვლიოს გზა, მწერლისათვის ყველაზე დიდი ჯილდო სწორედ ეს არის."

,,ჩვენ უფრო მეტად წყაროებს ვგავართ"

რა არის პოეზია? რატომ წერს ადამიანი? მაინც რა არის ის ძალა, რომელიც კალამს, თითქოს-და, თავისით ამოძრავებს და თითოეულ სიტყვაში ტვირთავს განცდათა და ემოციათა ესენციას, რომელიც მერე მკითხელმა უნდა შეიგრძნოს.

რა არის პოეზია? იქნებ წარმავალ დროსთან მარადიულის გადაკვეთის პაუზა ან სულაც დიალოგი. აი, ის წუთები, შთაგონებას რომ ვუწოდებთ. მიწიდან აწეულები რომ ვართ (,,არც მიწისა და არც ცისა") და ჩვენი ტვინი მაღალი სიხშირის მიმღებივით რომ მუშაობს.

ჩვენ უფრო მეტად წყაროებს ვგავართ,
ჩვენთვის ვართ, არსად არ მივდივართ,
მხოლოდ ჩვენკენ მოისწრაფვიან!..

ეს ერთი კონცეპტუალური მეტაფორა მთელი ნოველაა, რომელიც აღწერს, ვინ არის და როგორია პოეტი და ასეთია თავად ამ წიგნის ავტორი.

კიდევ, განცდათა ჰერბარიუმს ჰგავს მურად მთვარელიძის პოეზია – სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილიდან სხვადასხვა ნივთი გიყვება თავის თავზე: ხან სამშობლო კვნესის, ხან დედის ხელჩანთა იხსნება, ხან სატრფოსთან დაკავშირებულ ემოციათა ფოიერვერკია, ხანაც პაპის ხმა ისმის: ,,ჩიტმა თავის ბუდე იცისო"... ასე, გულდაგულ მწყემსი უვლის და აბალახებს თავის ფარას, მურად მთვარელიძე კი – თავის სიტყვებს:

მე ხომ მწყემსი ვარ – სიტყვათა მწყემსი,
სიტყვათა ფარა გამყავს ქათქათა იალაღებზე.

მთელი ეპოქა ირეკლება ამ წიგნში, ქაოსით სავსე სამყაროში პოეტის ლოცვა ისმის და სიბნელეს მზის ძლიერი სხივი კვეთს:

შენ ლოცულობ, რომ მზემ ასხივოს,
მერე ვჩურჩულებთ:
– დაიფარე შენ ეს ედემი,
ბროლის ბურთია დედამიწა,
ბროლის ბურთია დედამიწა,
ბროლის ბურთია დედამიწა,
არ დაამსხვრიო!

ცირა ბარბაქაძე – მურად მთვარელიძის
წიგნიდან ,,სამი დრო"

ერთი ლექსის ანალიზი

„რაღაც ნაცნობი, რაღაც თავისი“

ვისაც, თუნდ ერთხელ,
მთაწმინდიდან სიამით მზირალს,
დაბლა თავისი უძებნია თვალებით სახლი,
ვისაც, მჯდარს კენტად,
ღელის პირას, ანდა, ხის ძირას,
აღუდგენია სახეები ნაცნობი ხალხის,
არა მგონია, არ იპოვნოს ამ ლექსში იმან
რაღაც, ნაცნობი, რაღაც ტკბილი, რაღაც თავისი,
ვითარცა ნაცნობს, წარმოადგენს
ზღვათათვის წვიმა,
ვითარცა სუნთქვა წარმოადგენს
ნაცნობს ქარისთვის.

ამ ლექსს, რომელიც მუხრან მაჭავარიანს 1955 წელს დაუწერია, დიდად გამორჩეული ადგილი არ უჭირავს მის შემოქმედებაში – იგი არ გახმაურებულა ისე, როგორც „საბა“, „ვახტანგ მეფის ნანადირევი“, „იმერული ქელეხი“, „პუშკინი ტფილისში“ ან ციკლი „1832“. აქ არც ისეთი ვნებათაღელვა ბობოქრობს, როგორიც მრისხანე ლექსში „სხდომა“, არც იმგვარი ფილოსოფიური დილემაა წამოჭრილი, როგორიც პატარა შედევრში „თქვი“.

სალექსო ფორმის თვალსაზრისითაც ამ ლექსში განსაკუთრებული არაფერი მოგხვდებათ თვალში: ის ქართულ პოეზიაში ესოდენ გავრცელებული თოთხმეტმარცვლიანი საზომით (5 / 4 / 5) და ტრადიციული ჯვარედინი რითმებით არის შესრულებული. თანაც, ეს რითმები (მზირალს – ძირას; სახლი – ხალხის; იმან – წვიმა; თავისი – ქარისთვის), ვერ მოვა მუხრან მაჭავარიანის სხვა რითმა-შედევრებთან.

რაც შეეხება ხატოვან მეტყველებას – აქ ორი შედარებაა: როგორც წვიმა წარმოადგენს ნაცნობს ზღვებისთვის და როგორც სუნთქვაა ნაცნობი ქარისთვის, იმედი მაქვს, ასევე ნაცნობი აღმოჩნდება მკითხველთათვის ამ ლექსში ასახული განწყობილებაო, – აცხადებს პოეტი.

ეს შედარებები ზუსტია, მკაფიო და ნათელი, თუმცა, არა ისე მოულოდნელი და ორიგინალური, როგორც მუხრან მაჭავარიანს საზოგადოდ სჩვევია (გავიხსენოთ, თუნდაც – „მაგონდება წრიპა მთვარე – აზნაურის ულვაშივით“; ანდა ასეთი გასაოცარი შედარება: „ღამეა შავი – ასლის შავი ქაღალდის მსგავსი, და დღე მეორე – არის ზუსტად წინა დღის ასლი“.

მუხრან მაჭავარიანი ის ოსტატია, რომლის შემოქმედებაშიც ლექსის ყოველ კომპონენტს მკაცრად განსაზღვრული ფუნქცია აკისრია ნაწარმოების მხატვრულ იდეასთან მიმართებით: რითმაც, ურითმობაც, სახეობრიობაც, სადა მეტყველებაც, ფორმის სიახლეც. ფორმის ტრადიციულობაც მის ლექსში არასოდეს არ არის თვითმიზნური. პოეტის მიზანი ყოველთვის ერთია: ზუსტად, უდანაკარგოდ მიიტანოს მკითხველამდე თავისი სათქმელი, აღძრას მკითხველის გულში სასურველი ემოცია თუ განწყობილება. პოეტური ალღო მას შეუცდომლად კარნახობს, ამ მიზნის მისაღწევად, სად თვალისმომჭრელ პოეტურ ფოიერვერკს უნდა მიმართოს და სად ჩვეულებრივი, ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეული პოეტური ფორმებით უნდა დაკმაყოფილდეს.

ამ ლექსშიც მხატვრული იდეა და მისი გამოხატვის ფორმა ზუსტად შეესატყვისება ერთმანეთს.

საით მიგვყავს მსჯელობა? ისე ხომ არ გამოდის, რომ არაფრით გამორჩეული ფორმით აქ უინტერესო, ბანალური სათქმელია გადმოცემული? ცხადია, არა! შეუძლებელია ასე იყოს, რადგან ლექსის წაკითხვის შემდეგ ნამდვილად ჩნდება „რაღაც ნაცნობი, რაღაც ტკბილი, რაღაც თავისი“ განცდა. ოღონდ ისიც აშკარაა, რომ მხატვრული გამოსახვის ოსტატობით გამოწვეული აღტაცება კი არ გვეუფლება, არამედ გრძნობა მადლიერებისა ხელოვანის მიმართ, რომელმაც ჩვენს გულში ეს განცდა აღძრა. ლექსის ჩაკითხვის შემდეგ ტექსტი თითქოს ქრება ჩვენი თვალსაწიერიდან და ვრჩებით ჩვენს თავთან მარტო, „რაღაც ნაცნობი, რაღაც ტკბილი“ განცდით გულავსებულნი.

მაგრამ მთელი ეს მსჯელობა ლიტონ სიტყვებად დარჩება და ვერაფერს ღირებულს ნაწარმოებზე ვერ ვიტყვით მანამ, სანამ ლექსის მხატვრულ იდეას არ მოვიხელთებთ. მოდი, ვცადოთ ეს.

რატომ ჰგონია პოეტს, რომ უთვალავ საცხოვრისს შორის ჩაკარგული საკუთარი სახლის მაღლიდან თვალით ძებნის ინსტინქტურ ჩვეულებას თუკი შეგვახსენებს და ღელის პირას ჯდომისას, ნაცნობი ადამიანების სახეთა მეხსიერებით გაცოცხლების უნარზე თუკი გაგვამახვილებინებს ყურადღებას, ეს, ჩვენში, მის მკითხველებში „რაღაც ნაცნობ, რაღაც ტკბილ და რაღაც თავის“ განცდას გამოიწვევს?

ჯერ ის უნდა ვთქვათ, რომ ეს ინსტინქტიც და ეს უნარიც ზოგადადამიანური თვისებებია, რაც ადამიანებს ერთმანეთთან საერთო აქვთ, რაც ადამიანებს ერთმანეთს ამსგავსებს, რაც მათ აახლოებს. ეს ის თვისებებია, რომელთა გამოც ადამიანები სოლიდარულნი არიან ერთმანეთის მიმართ.

მაგრამ მხოლოდ ზოგადადამიანურზე მინიშნებით, მარტო საერთო ადამიანურის შეხსენებით მკითხველის გულის მოგება გაჭირდება. ადამიანისთვის ძვირფასია არა იმდენად ის, რაც მას სხვებთან საერთო აქვს, არამედ უფრო ის, რაც სხვათაგან გამოარჩევს, ანუ ის, რასაც ამ ლექსში „რაღაც თავისი“ ეწოდება. ამიტომ არის, რომ ყ ვ ე ლ ა ეძებს მაღლიდან სიამით მზირალი თავის სახლს, მაგრამ ყველა თ ა ვ ი ს სახლს ეძებს; ღელის პირას ანდა ხის ძირას კენტად ჯდომისას (ანუ ბუნების წიაღში განმარტოებისას) ყველას შეიძლება აღეძრას ტკბილი მოგონებები და ამით ყველანი ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ ყველას მხოლოდ თ ა ვ ი ს ი საკუთარი ტკბილი მოგონებები აღეძვრის და ამით ყველანი ერთმანეთისგან განსხვავდებიან.

ზოგადადამიანურისა და ინდივიდუალურის ჰარმონიაზე მინიშნება ბადებს ამ ლექსის მკითხველის გულში „რაღაც ნაცნობ, რაღაც ტკბილ და რაღაც თავის“ განცდას. ზოგადადამიანური და ინდივიდუალური ისევე ბუნებრივად და სასიამოვნოდ ერწყმის აქ ერთმანეთს, როგორც ზღვას ერწყმის წვიმა და სუნთქვა ერწყმის ქარს. ამ შედარებებს პირდაპირი დანიშნულების გარდა, კიდევ ის ფუნქცია აქვთ, რომ მათი შემადგენელი კომპონენტები – ზღვა და ქარი ზოგადადამიანურის, ხოლო წვიმა და სუნთქვა ინდივიდუალურის ასოციაციას აღძრავს იდუმალ.

ერთი სიტყვით, „რაღაც ტკბილ“ განცდას ამ ლექსის კითხვისას იმის შეგრძნება წარმოშობს, რომ ისეთიც ხარ, როგორნიც ყველანი არიან და, ამავე დროს, ყველასგან განსხვავდები. განსხვავდები, თუნდაც, შ ე ნ ი სახლით, შ ე ნ ი მოგონებებით; არც ადამიანური ერთობის გარეთ ხარ გარიყული და, ამავდროულად, არც გათქვეფილი ხარ ამ ერთობის წევრებში.

პოეტი ისეთ ზოგადადამიანურ თვისებებს შეგვახსენებს, რომლებიც, ამავე დროს, აუცილებლად ინდივიდუალურნიც არიან. ამ თვისებების ზოგადადამიანურობის გამო, პოეტს იმედი აქვს, რომ ლექსში გამოხატული განცდა ყველასათვის ნაცნობი აღმოჩნდება. ამავე თვისებების მკაფიოდ ინდივიდუალური შეფერილობის გამო კი, პოეტი იმედოვნებს, რომ ეს განცდა ყველასათვის თავისი (თავისებური) განცდა იქნება.

მკითხველის გულში სასურველი ემოციის აღსაძვრელად აქ ზუსტად არის შერჩეული საშუალებანი, თორემ, ნებისმიერი ზოგადადამიანური თვისება როდია ამავე დროს მკაფიოდ ინდივიდუალურიც. მაგალითად, ზოგადადამიანური თვისება არის ისიც, რომ, როცა კაცს მოსწყურდება, სიამოვნებით მიირთმევს წყალს. წყურვილის მოკვლით აღძრული სიამოვნებაც ზოგადადამიანური განცდაა, მაგრამ ინდივიდუალურობის გამოვლენის შესაძლებლობა აქ არ არის – წყალს ყველა მწყურვალი ერთნაირად ეწაფება, „თავისის“ (თავისებურის) მოძიება აქ ვერ ხერხდება.

დასაწყისში ჩვენ აღვნიშნეთ ამ ლექსის გარეგნული სისადავე. ამასაც თავისი ფუნქცია აქვს: უაღრესად ყოფით და ჩვეულებრივ მოვლენებზეა მასში საუბარი და მათი ელვარე ფორმით მიწოდება მკითხველისთვის არ იქნებოდა მართებული, ეს დაგვაცილებდა კიდეც მხატვრულ იდეას. მაგრამ უფრო ღრმად რომ ჩავხედეთ, ლექსში გამოხატული განცდა სულაც არ აღმოჩნდა ისე სადა და მარტივი, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა: იგი ზოგადის და ინდივიდუალურის რთული ნაზავი გამოდგა.

ასევე, ამ ლექსის ფორმის სისადავეც მაცდური სისადავეა. მთელი ეს ორსტროფიანი ლექსი ერთი წინადადებაა, ერთი რთული ქვეწყობილი წინადადება. ლექსის ბოლოს რომ წერტილია დასმული, ეს, აქ, ერთადერთი წერტილია. მთელი ლექსი სინტაქსურად მონოლითია, რაც იშვიათი რამ გახლავთ. ლექსის სინტაქსური მონოლითურობა მასში გამოხატული განცდის მონოლითურობის შედეგიც არის და საფუძველიც – ისინი ერთმანეთს განაპირობებენ.

ლექსი იწყება ორი ერთგვაროვანი დამოკიდებული წინადადებით, რომელთა თავში დგას ანაფორულად გამეორებული მაკავშირებელი სიტყვა – „ვისაც“. ამას მოსდევს მთავარი წინადადება, და ბოლოს, ისევ, ორი ერთგვაროვანი დამოკიდებული წინადადება, რომელთა თავში დგას ანაფორულად გამეორებული მაკავშირებელი სიტყვა – „ვითარცა“. ეს სინტაქსური სიმეტრია გაწონასწორებულობის, სტაბილურობის, სიმშვიდის შთაბეჭდილებას ქმნის, რაც ხელს უწყობს ლექსში გამოხატული განწყობილების მკითხველამდე მაქსიმალური ეფექტით მიტანას.

ასე რომ, ამ ლექსის ფორმაც, მისი შინაარსის მსგავსად, რთული სისადავე აღმოჩნდა.

თუმცა... განა ხელოვნებაში არსებობს მარტივი სისადავე?

ლევან ბრეგაძე,
ლიტერატურის კრიტიკოსი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

რედაქტორი ეკატერინე ბაქრაძე